



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 9 20 0000691934



14/08/2020

**„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04
აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 07 აგვისტოს №673673 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“:

ა) მე-7 მუხლის 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მოდულით განსაზღვრული ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული. სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებები დასაშვებია, თუ ის გამოწვეულია კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ/განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით. დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აცნობოს ცენტრს. დამხმარე ჩანაწერები არის სარეკომენდაციო ხასიათის და მათში ცვლილებები დასაშვებია.“;

ბ) მე-9 მუხლის:

ბ.ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინიციატორის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის ან/და მატერიალური რესურსის ელექტრონული ვერსია, რომელშიც კომენტარების სახით აღნიშნულია ინიციატორის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები.“;

ბ.ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინიცირების შემთხვევაში, ცენტრი ამზადებს ცვლილებების პროექტს და წარუდგენს ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ცვლილებები შეეხება მინიმალური მატერიალური რესურსების ჩამონათვალში რესურსის დამატებას ან/და ამოღებას. ამ შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს ინიცირებული ცვლილებების საჯარო განხილვას, მათ შორის, ყველა იმ საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმირება/ჩართულობით, რომლებიც აღნიშნული მატერიალური რესურსის გამოყენებით ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ს; ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი ამზადებს პროექტს და წარუდგენს ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად. ინიცირების შესახებ განცხადების შემოტანიდან და ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.“;

გ) ამოღებული იქნეს მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

